

(=41 ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 20 ნოემბრის სხდომის

ოქმი =41

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 15. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინთ სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, რაც გამოიწვია გაუთვალისწინებელმა შემთხვევებმა, რომელთა დაგეგმვაც წინასწარ ვერ მოხერხდებოდა:

1. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების, ელ.მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 1 100 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების სათადარიგო ნაწილების შეძენის პუნქტში, ხოლო სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული მუხლიდან 8 950 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების წოდებრივი სარგოს მუხლში.

ასევე, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლის ტრანსპორტის დაქირავებისა და გადაყვანა-გადაზიდვის პუნქტიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში; 917 ლარი გადატანილ იქნეს დეზინფექცია-დერატიზაციის პუნქტში; 7 500 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექს-

პლუტაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; 1 600 ლარი გადატანილ იქნეს მივლინებების მუხლში; 3 674 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ხოლო საკანცელარიო ხარჯებიდან 2 300 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯებში (სტუდ. ბილეთებისათვის) და 1 644 ლარი ტენდერის ხარჯების მუხლში. საოფისე ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებიდან 370 ლარი გადატანილ იქნეს საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებში.

2. ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 1 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინებების მუხლში; 1 000 ლარი გადატანილ იქნეს ელ. ენერჯის ხარჯების მუხლში; 600 ლარი გადატანილ იქნეს რეცხვისა და ქიმწმენდის ხარჯების მუხლში; 1 400 ლარი გადატანილ იქნეს ბუნებრივი აირის ხარჯების მუხლში; 1 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის ტექნიკის, მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის მუხლში.

3. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების მუხლიდან 250 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის მუხლის საწვავ-საპოხი მასალების შეძენის პუნქტში.

4. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 8 909 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში, ხოლო ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების საწვავ-საპოხი მასალების შეძენის მუხლიდან 12 780 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში.

5. ვლ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯების მუხლიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

6. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 1 505 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე

ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში.

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზაციული ხარჯების მუხლიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნეს იჯარის მუხლში.

7.1. ორდენების, სიგელების, სუვენირებისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯებიდან 4 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების მუხლში;

7.2. შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს იჯარის მუხლში.

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზაციული ხარჯების მუხლიდან 15 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში, ხოლო კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 105 367 ლარი გადატანილ იქნეს ელ. მოწყობილობების შეძენის მუხლში; 88 240 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მუხლში.

9. გაზრდას დაექვემდებაროს ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლების და ნაერთი ბიუჯეტის კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების გრაფა, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც, კერძოდ:

9.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „კოლორი XXI“ - ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2013 წლის 17 ივლისის საგადახდო დავალებით სტუ-ს ჩაერიცხა 50 000 ლარი, რის გამოც სტუ-ს წარმოექმნა დამატებითი შემოსავალი. აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდოს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი 50 000 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს სუბსიდიის მუხლში.

9.2. ასევე, გაზრდას დაექვემდებაროს ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლები „შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან“ 550 000 ლარით; იჯარიდან შემოსავალი 80 145 ლარით, ხოლო დეპოზიტიდან შემოსავალი 100 000

ლარით, ჯამში - 730 145 ლარი და გაიწეროს ხარჯვითი ნაწილის შემდეგ მუხლებში: ოფისის ხარჯების ელ. ენერჯის ხარჯში 220 000 ლარი; წყლის ხარჯში 55 420 ლარი; „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების მუხლის დღგ-ს გადასახადში“ 84 686 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 370 039 ლარი.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ვთვლი, რომ აღნიშნული ცვლილებები ექვემდებარება განხორციელებას. ასევე, ჩვენი შეთანხმებისამებრ, ვიმედოვნებ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი მეტად იქნება წინასწარ გაწერილი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 20 ნოემბრის -41 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების, ელ.მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 1 100 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების სათადარიგო ნაწილების შეძენის პუნქტში, ხოლო სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული მუხლიდან 8 950 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების წოდებრივი სარგოს მუხლში.

ასევე, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლის ტრანსპორტის დაქირავებისა და გადაყვანა-გადაზიდვის პუნქტიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში; 917 ლარი გადატანილ იქნეს დეზინფექცია-დერატიზაციის პუნქტში; 7 500 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; 1 600 ლარი გადატანილ იქნეს მივლინებების მუხლში; 3 674 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ხოლო საკანცელარიო ხარჯებიდან 2 300 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯებში

(სტუდ. ბილეთებისათვის) და 1 644 ლარი ტენდერის ხარჯების მუხლში. საოფისე ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებიდან 370 ლარი გადატანილ იქნეს საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებში.

2. ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 1 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინებების მუხლში; 1 000 ლარი გადატანილ იქნეს ელ. ენერჯის ხარჯების მუხლში; 600 ლარი გადატანილ იქნეს რეცხვისა და ქიმწმენდის ხარჯების მუხლში; 1 400 ლარი გადატანილ იქნეს ბუნებრივი აირის ხარჯების მუხლში; 1 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის ტექნიკის, მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის მუხლში.

3. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების მუხლიდან 250 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის მუხლის საწვავ-საპოხი მასალების შეძენის პუნქტში.

4. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 8 909 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში, ხოლო ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების საწვავ-საპოხი მასალების შეძენის მუხლიდან 12 780 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში.

5. ვლ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯების მუხლიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

6. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 1 505 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში.

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზაციული ხარჯების მუხლიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნეს იჯარის მუხლში.

7.1. ორდენების, სიგელების, სუვენირებისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯებიდან 4 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების მუხლში;

7.2. შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს იჯარის მუხლში.

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზაციული ხარჯების მუხლიდან 15 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში, ხოლო კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 105 367 ლარი გადატანილ იქნეს ელ. მოწყობილობების შეძენის მუხლში; 88 240 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მუხლში.

9. გაზრდას დაექვემდებაროს ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლების და ნაერთი ბიუჯეტის კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების გრაფა, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილიც, კერძოდ:

9.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „კოლორი XXI“ - ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2013 წლის 17 ივლისის საგადახდო დავალებით სტუ-ს ჩაერიცხა 50 000 ლარი, რის გამოც სტუ-ს წარმოექმნა დამატებითი შემოსავალი. აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდოს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი 50 000 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს სუბსიდიის მუხლში.

9.2. ასევე, გაზრდას დაექვემდებაროს ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლები „შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან“ 550 000 ლარით; იჯარიდან შემოსავალი 80 145 ლარით, ხოლო დეპოზიტიდან შემოსავალი 100 000 ლარით, ჯამში - 730 145 ლარი და გაიწეროს ხარჯვითი ნაწილის შემდეგ მუხლებში: ოფისის ხარჯების ელ. ენერჯის ხარჯში 220 000 ლარი; წყლის ხარჯში 55 420 ლარი; „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების მუხლის დღგ-ს გადასახადში“ 84 686 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 370 039 ლარი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი - სტუ-ს გასაიჯარებელი ფართების შესახებ - მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: თქვენს სამსჯავროზე მინდა გამოვიტანო საკითხი, რომელიც ეხება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კუთვნილი ფართების გაიჯარებას. აღნიშნული ფართები გახლავთ:

- I სასწავლო კორპუსში 150 კვ.მ ფართი - რძის პროდუქტების წარმოების მიზნით;

- III სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე 8 კვ.მ ფართი – კვების ობიექტის განსათავსებლად;
- VI სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე 48 კვ.მ ფართი, მეოთხე სართულზე 41 კვ.მ ფართი, მეექვსე სართულზე 39 კვ.მ ფართი – კვების ობიექტების განთავსების მიზნით;
- ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე 25 კვ.მ. – კვების ობიექტების განთავსების მიზნით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 20 ნოემბრის =41 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა საკითხი სტუ-ს კორპუსებში გასაიჯარებელი ფართების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სტუ-ს კორპუსებში გასაიჯარებელი ფართები, კერძოდ:
 - I სასწავლო კორპუსში 150 კვ.მ ფართი – რძის პროდუქტების წარმოების მიზნით;
 - III სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე 8 კვ.მ ფართი – კვების ობიექტის განსათავსებლად;
 - VI სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე 48 კვ.მ ფართი, მეოთხე სართულზე 41 კვ.მ ფართი, მეექვსე სართულზე 39 კვ.მ ფართი – კვების ობიექტების განთავსების მიზნით;
 - ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე 25 კვ.მ. – კვების ობიექტების განთავსების მიზნით.
2. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ფართების გაიჯარებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული საიჯარო ხელშეკრულებების ვადის გაგრძელება 2014 წლის 1 ივლისამდე.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლის საფასურის ოდენობის ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №994 – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ.ქეთევან ქოქრაშვილი: მოგახსენებთ, რომ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ეროვნულ ვალუტაში განესაზღვრა სწავლის საფასურის ოდენობა შემდეგი სახით:

სწავლების ენა	ბაკალავრიატი		მაგისტრატურა		დოქტორანტურა	
	\$	ლარი	\$	ლარი	\$	ლარი
ქართული	1900	3200	2000	3400	2400	4100
რუსული	2000	3400	2400	4100	2700	4600
ინგლისური	3200	5500	3500	5000	4000	6800

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 20 ნოემბრის =41 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა საკითხი უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლის საფასურის ოდენობის ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №994.

სენატმა გადაწყვიტა: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მყოფი უცხო ქვეყნების მოქალაქეების სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვროს ეროვნულ ვალუტაში თანდართული ნიხრის მიხედვით:

სწავლების ენა	ბაკალავრიატი		მაგისტრატურა		დოქტორანტურა	
	\$	ლარი	\$	ლარი	\$	ლარი
ქართული	1900	3200	2000	3400	2400	4100
რუსული	2000	3400	2400	4100	2700	4600
ინგლისური	3200	5500	3500	5000	4000	6800

ასევე, სენატის სასწავლო პროცესის და სწავლების საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას ეთხოვოს გადახედოს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ და სენატის მიერ დამტკიცებულ საკითხს უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტებისათვის სწავლის გადასახადის დაფინანსების შესახებ – მომხსენებელი სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი, ბატონი გიორგი კულდონაშვილი.

ბატონი გიორგი კულდონაშვილი: მოგახსენებთ, რომ ფაკულტეტს ჰყავს სტუდენტები, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ან სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენლები, უდედმამო ან შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების და გამოირჩევიან აკადემიური მოსწრებით ან განსაკუთრებული ნიჭით. გთხოვთ ნაწილობრივ განთავისუფლებულ იქნენ ისინი სწავლის საფასურის გადასახადისგან ფაკულტეტის მიერ მოწოდებული სიის მიხედვით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 20 ნოემბრის =41 სხდომაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერმა, ბატონმა გიორგი კულდონაშვილმა წარმოადგინა საკითხი განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტებისათვის სწავლის გადასახადის დაფინანსების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: ის სტუდენტები, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ან სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენლები, უდედმამო ან შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების და გამოირჩევიან აკადემიური მოსწრებით ან განსაკუთრებული ნიჭით, ნაწილობრივ განთავისუფლებულ იქნენ სწავლის საფასურის გადასახადისგან ფაკულტეტის მიერ მოწოდებული სიის მიხედვით.

სპიკერი: განვიხილოთ საკითხი, რომელიც ეხება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე სპორტული ცენტრის „სტუ“-ს შექმნასა და მისი დებულების დამტკიცებას. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის დადგენილება № 1011 – მომხსენებელი სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი, პროფ. ბორის გითოლენდია.

პროფ. ბორის გითოლენდია: აღნიშნული ცენტრის შექმნა ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჯანმრთელი წესით ცხოვრებას. სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე სტუდენტები იასპარეზებენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 20 ნოემბრის =41 სხდომაზე სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსმა, პროფ. ბორის გითოლენდიამ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე სპორტული ცენტრის „სტუ“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის დადგენილება № 1011.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე სპორტული ცენტრის „სტუ“-ს შექმნა და მისი დებულება.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მაღლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე